



## კიდევ ერთი წარმატების ისტორია !!

გაიცანით ჩვენი კურსდამთავრებული ლევან ფილფანი, რომელმაც გასულ წელს IT მხარდამჭერის სპეციალობის მე-2 სტუდენტურ ოლიმპიადიაში პირველი ადგილი დაიკავა და ყველა უზომოდ გაგვახარა.. რათქმაუნდა ვიცოდით, რომ ეს ლევანის ერთადერთი გამარჯვება არ იქნებოდა და მართლაც ასე მოხდა. ლევანმა კიდევ ერთი და ამჯერად ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგა , ის დღეს FLEX პროგრამის 2020-21 წლის ფინალისტია

FLEX( Future leaders exchange program - მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა) - საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების მიერ ორგანიზებული პროგრამაა, რომელიც ტარდება პოსტ საბჭოთა ქვეყნებში, კულტურის გაცვლა-გაზიარების მიზნით, საქართველოდანაც ყოველწლიურად 80 ფინალისტი მიდის , ერთი სასწავლო წლით შეერთებულ შტატებში, რათა ისწავლოს ამერიკულ სკოლაში, იცხოვროს ამერიკელ მასპინძელ ოჯახთან ერთად და ეზიაროს იქაურ კულტურას.

როგორც ლევანი ამბობს ფინალისტთა შესარჩევი პროცესიც საკმაოდ რთული და ხანგრძლივია. პროგრამის შესარჩევ კონკურსში პირველად მეთე კლასში მივიღე მონაწილეობა და მეორე ტურში გადავედი, მაგრამ ვერ შევძელი მესამე ნახევარფინალურ ტურში მოხვედრა. მეთერთმეტე კლასში უკვე შევძელი ამ რთული დაახლოებით 8 თვიანი შესარჩევი პროცესის წარმატებით გადალახვა. ამაში უნდა ითქვას, რომ საკმაოდ დიდი წვლილი კოლეჯს „თეთნულდი“ მიუძღვის, კოლეჯმა მომცა საშუალება, რომ ინგლისურის ცოდნასთან ერთად განმევითარებინა სხვა ისეთი უნარები რომლებიც არამარტო ამ პროგრამის გამარჯვებაში, არამედ მომავალშიც ყოველთვის გამომადგება, მეგობრული გარემოს და თანამედროვე ინფრასტრუქტურის გამო სწავლის პროცესი ერთობ ყველაზე სასიამოვნო იყო. ისიც უნდა ითქვას, რომ კოლეჯი „თეთნულდი“ უკვე რამდენიმე წელია project “ACCESS” საგაკვეთილო სივრცეს მასპინძლობს. ძალიან მინდოდა, რომ მიმელო ზარი ამერიკული საბჭოებიდან, მაგრამ მართლა არ ველოდი, რომ დამირეკავდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მიზანთან ასე ახლოს ვიყავი და მხოლოდ ერთი ზარი მაშორებდა, გარკვეულ წილად მიუღწევლად მეჩვენებოდა ბოლო წამამდე. მიხარია, რომ ამ კარგი საქმის პრეცედენტი გავხდი და ვფიქრობ, რომ სხვებისთვის და განსაკუთრებით სვანებისთვის ეს აღარასოდეს აღარ იქნება მიუღწეველი რაღაც, ვფიქრობ ერთი სასწავლო წლით ამერიკულ სკოლაში სწავლა და ამერიკულ ოჯახთან ერთად ცხოვრება, ძალიან ბევრ საერთაშორისო მეგობარას შემძენს და ოკეანე გამოცდილების დაგროვების საშუალება მექნება, რასაც შემდგომში ისევ ჩვენს ქვეყანას და კუთხეს მოავახმარებ, სწორედ ამით გამოირჩევა ეს პროგრამა, რომ ამ დაგროვილი გამოცდილებით შემდგომში ბევრი რამის გაკეთების საშუალება გეძლევა. ბევრს უკვირს ფინალისტი თუ გახდი ანუ ერთი ტური კიდე დაგრჩაო, მაგრამ მთავარი ტური სწორედ ოკეანის გადაღმა წასვლა და იქ იმ გამოცდილების მიღებაა რაც მთელი ცხოვრების მანძილზე გამომადგება.